გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . | 10 | — | 6 . . | 6 | — |
| 11 . . | 9 | 50 | 5 . . | 5 | 50 |
| 10 . . | 8 | 75 | 4 . . | 4 | 75 |
| 9 . . | 8 | — | 3 . . | 3 | 50 |
| 8 . . | 7 | 25 | 2 . . | 2 | 75 |
| 7 . . | 6 | 50 | 1 . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხელთუბნელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი | საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი | 1877—1887 წელიწადი

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

ნაკვესი

ანუ

მოსწრებული სიტყვანი ძველთა და ახალთა ქართველთანი.

ფასი ერთი აბაზი.

ტფილისს გარეშე ეს წიგნი ისყიდება
გორში—ს. მგალობლიშვილთან. ხონში—ნ. წერეთლის მაღაზიაში.
ქუთაისს—ე. ქილაძის მაღაზიაში. ბათუმში—მ. ნათაძესთან.

ქართული წერის დედანი

ვ. გაბირვაძისა,

გამოცემული ი. მურადოვისაგან,

ისყიდება ქ. ქუთაისში, გამომცემლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი 25 კაპ.

ვინც 30 ეგზემპლიარზედ მეტს დაიბარებს, ეგზემპლიარი 20 კაპ. დაეთმობა.

იქვე ისყიდება დედანთან სახმარებელი ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი რვეულებიც. (10—10)

„ქართულის დრამატიულის საზოგადოების" მმართველობა სთხოვს საზოგადოების წევრებს მობრძანდნენ საზოგადოების წლიურ კრებაზე, კვირას, 27 ენკენისთთვეს, დილის ათს საათზე, ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის სადგომში, რათა მოისმინონ წარსულის წლის ანგარიში, მომავალის წლის სავარაუდო ანგარიში და აირჩიონ ახალი წევრები.

ტფილისი, 21 სექტემბერი

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ თ. ბისმარკმა ამ უკანასკნელ დროს სხვა თვალით დაუწყო ყურება ბოლგარიის საქმესა და ამ საქმეში თითქო რუსეთის მხარე დაიჭირა. ჩვენ ეს უეცარი ამბავი ამას წინად იმას მივაწერეთ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის შორის წინანდელი სამდურავი განელდა და მათი ერთმანერთზედ ალერსვა და ამრეზა ლამის მოისპოს და სამეგობრო განწყობილებად გადიქცეს. ეს დაახლოვება ინგლისისა და საფრანგეთისა, რასაკვირველია, ჭკუაში არ უჯდება ბისმარკსა, რომელიც სულ იმასა ჰცდილობს, რომ საფრანგეთი გაამარტოვოს და მეშველი, თუ მომხრე შემოუფანტოს.

ამ სამის წლის წინად, როცა საფრანგეთი, დამარცხებული გერმანიისაგან 1870 წელს, ჯერ საკმაოდ მოჯობინებული არ იყო და ამის გამო ხმას არ იღებდა ევროპის საქმეთა გამო, თ. ბისმარკი ძალიან ეურჩებოდა ინგლისს ეგვიპტის დაჭერისათვის და ნამეტნავად სუეცის არხის საკუთრად დაჩემებისათვის გერმანია, რომელსაც ფიქრად აქვს გაიწიე-გამოიწიოს და თვისი სამფლობელო გაავრცელოს კოლონიების დაჭერითა, თავის დღეში არ მოინდომებს, რომ ინგლისს მარტოკას ხელში ეჭიროს იგი უმოკლესი გზა აღმოსავლეთისაკენ, რომელსაც წარმოადგენს სუეცის არხი. ამ მხრით საფრანგეთისა და გერმანიის პოლიტიკა ერთმანერთს უნდა მიშველებოდა ინგლისის წინააღმდეგ, მაგრამ რადგანაც საფრანგეთი და გერმანია, როგორც ცეცხლი და წყალი ერთმანერთს ვერ მოურიგდებოდნენ და გერმანიისათვის ინგლისის მეგობრობაც საჭირო იყო, თ. ბისმარკი ინგლისის პოლიტიკას ეგვიპტეში მიუყურიდა, დაუჩუმდა, დეე ინგლისი და საფრანგეთი ერთმანერთს წაეკიდნენო. ამ ყოფაში იყო გერმანია, ვიდრე გამომჟღავნდებოდა ამ უკანასკნელ დროს, რომ საფრანგეთი და ინგლისი ერთმანერთში ჰრიგდებიან ეგვიპტის გამოვო. ეს ამბავი ვერაფრად ეჭაშნიკა თ. ბისმარკსა, მით უფრო, რომ ამ სამს უკანასკნელ წელიწადში და ნამეტნავად ბოლოს ხანებში საფრანგეთმა და რუსეთმა ერთმანერთისაკენ მიიწიეს და ერთმანერთს დაუახლოვდნენ.

ამისთანა გარემოება, რასაკვირველია, ფერსა და მიმართულებას ბისმარკის პოლიტიკას შეუცვლიდა. მართალიც არის. აი რას ამბობს ერთი ევროპიული გაზეთი ამ საგანზედ:

„ლონდონში ძალიან სტყუვდებიან, თუ ჰფიქრობენ, რომ თ. ბისმარკი ხელს უწყობს ინგლისს ეგვიპტეში ჯარების ჩაყენებისათვის. თუ თ. ბისმარკი ჰცდილობდა სულთანთან, რომ ინგლის-ოსმალეთ კონვენცია დამტკიცებულ ჰყოფილიყო, მარტო იმისათვის ჰცდილობდა, რომ ეგონა ამით საფრანგეთსა და რუსეთს წავუხდენ საქმესა და დიპლომატიურს გამარჯვებას მე დავინარჩუნებო. თუმცა ესე მოქმედებდა, მაგრამ ის კი ავიწყდებათ ინგლისელებს, რომ ეგვიპტის საქმე ისევ ხელთ უჭირავს თ. ბისმარკს და იმ რიგადაც უჭირავს, რომ დღეს თუ ხვალე ეგ საქმე საკონგრესოდ გახდება და კონგრესის თავ-მჯდომარეობას ხომ თ. ბისმარკი თავისთვის გამოელის. თუ მართალი გინდათ, მართალი ის არის, რომ თ. ბისმარკი კარგის თვალით არ უყურებს ინგლისის პოლიტიკას ეგვიპტეში. ნამდვილია, რომ მის თვალში ინგლისი იმისთანა სახელმწიფოა, რომელიც წინ ელობება გერმანიას საკოლონიო პოლიტიკაში და ამის გამო ბისმარკი თავის დღეში ხელს არ მოუმართავს ინგლისს, რომ მარტოკამ იმფლობელოს ეგვიპტეში და სუეცის არხი, ეს მოკლე გზა, საკუთრად დაუნარჩუნოსო. დღეს ბისმარკი ინგლისის პოლიტიკას ეგვიპტეში იმავე თვალით უყურებს, რა თვალითაც ამ სამის წლის წინად უყურებდა. ამ სამის წლის წინად, როცა გერმანია და ინგლისი შეუტოტდნენ ერთმანერთს ანგრი-პეკვენის და ახალ-გვინეის გამო, თ. ბისმარკი ძალიან ეწინააღმდეგებოდა ინგლისის მეცადინეობას ეგვიპტეში."

დიდი ლარი და ხაზი არ უნდოდა, რომ კაცს წინადვე გამოეცნო რას იქმოდა თ. ბისმარკი, როცა გამომჟღავნდა, რომ ინგლისი და საფრანგეთი ერთმანერთს ხელს უწვდიან მორიგებისათვის. რა თქმა უნდა, ინგლისს ეხლა აუწეწავს საქმეს და მით ეცდება აჩვენოს, რომ ჩემთან მეგობრობა უფრო ბევრს გამორჩომას მოასწავებდა შენთვისა, ვიდრე ჩემი წყენა და საფრანგეთთან მეგობრობაო. ნუ თუ ეხლაც ცხადი არ არის მიზეზი იმისი, რომ თ. ბისმარკი დიდს მეცადინეობაშია ამ ბოლოს ხანს რუსეთის გული მოიგოს ბოლგარეთის საქმეთა. განზრახვა მისი აშკარაა: რაკი ინგლისი დაუახლოვდა საფრანგეთს, ბისმარკისათვის აუცილებელ საჭიროებად გახდა დაამოროს რუსეთი და თვითონ გაიმეგობროს. გერმანიის პოლიტიკა ბოლგარეთის საქმეთა გამო დღეს ამ ხანაშია და ამ კვალშია ჩამდგარი.

## ახალი ამბავი

*** 19-ს სექტემბერს შეიპყრეს პოლიციის მეორე უბნის მოხელე, ბ-ნი წინამძღვრიშვილი, და 20-ს დააპატიმრეს მეტეხის ციხეში, ცალკე ოთახში. წინამძღვრიშვილსა ჰბრალდება, რომ მონაწილეობა მიიღო თავის ცოლის მოკვლაში. მის საქმეს განასამართლებენ სისხლის კანონების 1651 მუხლის ძალისამებრ.

*** პარასკევს, 25-ს სექტემბერს, ტფილისის „სობრანიაში" განზრახვა აქვთ გამართონ წარმოდგენა. ითამაშებენ „ძუნწსა" და «გაყრის» პირველ მოქმედებას

*** ჩარკვიანის სტამბაში დაუწყიათ ბეჭდვა თ. რაფ. ერისთავის ახალი პოემისა, სახელად „თამარიანი".

*** ჩვენ ვნახეთ ბ-ნ პაპაზიანცის განცხადება, რომელიც აუწყებს საზოგადოებას, რომ ფოტო-ცინკოგრაფია გავმართეო, თუ კი ცინკოგრაფია გამოდგა პაპაზიანცისა, გაადვილდება სურათებიან წიგნების ბეჭდვა.

*** მღვდელი ბ-ნი ბარნაბაშვილი დაწვრილებით გვწერს სოფ. მუხრანში დაცოფილების ამბავს: ამ დღეებში ცოფიანმა ძაღლმა რამდენიმე ადამიანი დაჰკბინა. აი როგორ მოხდა ეს სამწუხარო ამბავი. 12-ს ამ თვისას სადამოზამზე, შაბათი რომ ღამდებოდა, შეიქნა ერთი აურზაური; სოფელში ჩამოვარდა ცოფიანი ძაღლი, რომელიც მიესია სოფლის ოთხ-ფეხსა და საქონელს. შემდეგ მიჰყო ხელი ადამიანებსაც. ჯერ მივარდა 14 წლის ყმაწვილს, წააქცია, მაგრამ კბენა ვერ მოასწრო, რადგან ჩქარა ისევ ძალ-

## ფელეტონი

### HORLA

(გიუ დე-მოპასსანისა)

. . . . . . . . . . . .

8 მაისი

რა მშვენიერი დღეა დღეს! მთელი დილა მწვანე ბალახზედ ვგორაობდი, ჩემის სახლის წინ, ჩინარის ჩრდილში. ეს ჩინარი მთელს ჩემს სახლს აჩრდილებს, ჰფარავს და მზის სხივებისაგან იცავს. მიყვარს ეს ადგილები და აქ ცხოვრება, იმიტომ-რომ ფესვები აქა მაქვს გადგმული, წმინდა და ღრმა ფესვები, რომელნიც ადამიანს შეაყვარებენ ხოლმე იმ ნიადაგს, სადაც იმის წინაპართ უცხოვრიათ და შემდეგ გარდაცვლილან; ამ ფესვების გამო გვიყვარს ადგილობრივი ზნენი და ჩვეულებანი, საჭმელნი, სახლის გარეგანი შეხედულობა, გლეხთა ლაპარაკის კილო, დედამიწისა და ხეების სუნი და ჰაერიც-კი.

მიყვარს ეს სახლი, რომელშიაც დავიბადე, წამოვჩიტდი და დავვაჟკაცდი. ამ სახლის ფანჯრებიდგან ვხედავ მდინარე სენას, რომელიც ჩემს ბაღს ახლო ჩაუდის და რუანიდგან გავრამდე გაწოლილა; მთელი მდინარე დაფარულია ნავებითა და გემებით.

აგერ იქ, მარცხნივ, მოჩანს რუანი, დიდი ქალაქი ცისფერის ბანებითა და მაღალის, ძველებურის სამრეკლოებით. ბევრი, ბევრი სამრეკლოებია რუანში; ამ სამრეკლოებში დიდძალი ზარები ჰკიდია, რომელთაც ყოველ დილას გააქვთ გუგუნი ცისფერს ჰაერში.

რა სასიამოვნო დილა იყო დღეს! დილის თერთმეტს საათზედ ჩემის ბაღის წინ ჩაიარეს გამწკრივებულმა ხომალდებმა; ეს ხომალდები მობმული იყო ერთს ორთქლით მავალს გემზე, რომელიც ხმა-მაღლად შიშინებდა, ხვრინავდა, თავს ძალას ატანდა და შავს ბოლოს ისროდა.

ორ ინგლისურს ბაირაღ-გაფარფარებულ გემს შემდეგ ჩაიარა სამ-ანძიანმა მშვენიერმა ბრაზილიის ხომალდმა, რომელიც მეტის-მეტად სუფთა იყო და ლაპლაპებდა. ეს ხომალდი ისე მომეწონა, რომ, არ ვიცი რადა, ქუდი მოვუხადე და თავი დავუკარი.

12 მაისი

აგერ რამდენიმე დღეა როგორღაც მაციებს; უქეიფოდა ვარ, არა, უქეიფოდ-კი არა, გულზედ რაღაცა ნაღველი მაწევს.

რისაგან არის, რა საიდუმლოება მოქმედებს ადამიანზედ ისე, რომ ხშირად ბედნიერებას მწუხარებად და მხიარულებას დაღრეჭილებად შეუცვლის ხოლმე. ლამის ის იფიქროს კაცმა, რომ ჰაერი, ეს თვალით დაუნახავი ჰაერი, სავსეა რაღაც უცნობის ძალით და ამ ძალის საიდუმლო უფლებას ვემორჩილებით ჩვენცაო.

მე დილით ყოველთვის კარგს გუნებაზედ ვდგები, ისეთს გუნებაზედ, რომ თითქო გულში ზღურბლები მისხედან და მიმღერიანო. რადა?.. მივდივარ მდინარის პირად გასასეირნებლად და, რამდენისამე ხნის სეირნობის შემდეგ, დანაღვლიანებული და გულ-ჩახურული ვბრუნდები სახლში, თითქოს შინ რამე უბედურება მიმელოდესო. რადა? რისაგან არის? ნუ თუ სიცივემ და სიცივის გამო კანკალმა გული დამისევლიანა? ან იქნება ღრუბლების სახემ, მთელმა ღლემ, რომელიც ასე ცვალებადია, ყველაფერმა, რაც-კი ჩემს გარშემო დავინახე, რამაც-კი თვალ-წინ გამირბინა, ისე იმოქმედა, რომ გუნება შემიცვალა? ვინ იცის! ნეტა ყველაფერი, რაც გარს გვახვევია, რაც თვალით დასანახავია და არა ვამჩნევთ-კი; რასაც შევეხებით და ვერ შევნიშნავთ, ვერ ვიგრძნობთ ხოლმე—მოქმედობს თუ არა ყველა ეს ჩვენზედ, ჩვენს გულსა და გუნებაზედ ჩვენდა შეუმჩნევლად, ჩვენდა გაუგებრად?

რა დიდი, ღრმა და გაუგებარი საიდუმლოა გაჩენება! ვერა, ვერ გავიგებთ ჩვენის შესაბრალისის ხუთის გრძნობით: მხედველობით, რომელიც ვერ შენიშნავს ხოლმე ვერც მეტად პატარას, ვერც მეტად დიდს, ვერც მეტად ახლოს, ვერც მეტად შორეულს, ვერც მთვარის მკვიდრთა და ვერც წვეთ წყალში მცხოვრებთა; სმენით, რომელიც გვატყუებს და ჰაერის მოძრაობას ტკბილ და სასიამოვნო ხმოვანებად მოგვასმენს ხოლმე; ყნოსვით, რომელიც ზღვრით ჩამოუვარდება და ბევრად სუსტია ძაღლის ყნოსვაზედ; გემოვნებით, რომელიც ძნელად გაარჩევს ხოლმე ძველსა და ახალს ღვინოსაც-კი..

ახ, ჩვენ, ჩვენთა ხუთ გრძნობათა გარდა, კიდევ სხვა გრძნობანიც რომ გვქონდეს, რას არ აღმოვაჩენდით ჩვენს გარშემო, რა საკვირველებას არ დავინახავდით!

16 მაისი

ნამდვილად ავად ვარ! რა კარგად ვიყავი წარსულს თვეში! ეხლა-კი მაციებს, საშინლად მაციებს, ან ციების გამო აღელვებული ვარ და ეს აღელვება მისევდიანებს და მიავადებს სულსაცა და გულსაც. ხშირად ისე შემეცვლება ხოლმე გუნება და გული ისე გამიხდება, თითქოს ესე-ეს არის რაიმე უბედურება მომელისო, ან სიკვდილს უნდა გამოვესალმო, ან არა და რაიმე ავადმყოფობა უნდა გამოვიაროვო.

ლებმა მოჰგლიჯეს; იქიდგან გაქცეული შეეფეთა კიდევ ერთს სხვა პატარა ყმაწვილს, რომელსაც თავ-პირი დაუკაწრა კბილით; აქედგან გაქცეული შეხვდა კიდევ ორ-ღობეში ერთს დედაკაცს და დაჰგლიჯა მხარში. უკანასკნელად მიეჭრა ერთს კაცს თავის კარებზედ. ეს კაცი საზეგროდ ურემს ამზადებდა და ზედ საქონლისათვის საჭმელს უდებდა; ურმიდგან რომ მოიხედა, უეცრად ერთი პატარა ძაღლი შეახტა ზედ თავ-პირზედ; კაცმა მოასწრო ხელი და გასტყორცნა შორს. გლეხს ეგონა, ეს არის მოვიშორეო, მაგრამ მეორედ ისეთის სისწრაფით შეახტა, რომ ძაღლმა თავის ქვევითა ტუჩი კაცს შიგ პირში მოუქცია და ზევითა ლოყას ისეთ ნაირად მოუჭირა კბილები, რომ ორი კბილი მაშინადვე ღედნიანად გამოჰგლიჯა და გამოიტანა. ძაღლი უეცრად დაიკარგათ და კაცი კბილებ-ჩამტვრეული და დასისხლიანებული საშინლად ყვიროდა, ღრიალებდა.

ეხლა არიან ეს საცოდავი დაგლეჯილები ერთს ვაებაში. თუმცა სოფლურ წამლებსა სმენ, წილკნურს, ლამიყანურს და მცხეთურს, მაგრამ მაინც უიმედოდ არიან.

ყველაზედ მომეტებულად გლეხკაცია დაგლეჯილი; საცოდავი წვრილშვილის პატრონია, სახლ-წარკვეთილი ზის კარებ წინ, ირიდებს როგორც ცოლ-შვილს, ისე მნახველთ, სტირის და ყველას იმას ეხვეწება, თუ ვინმე რამ იცოდეთ, ნუ დაჰზოგავთ თქვენს ცოდნას. მიპატრონეთ და დამიხსენით გაცოფებისაგანაო.

რაც შეიძლება ჩქარა უნდა მიეშველოს სამაზრო ადმინისტრაცია და უპატრონოს ამ საცოდავ დაკბენილებს.

**სოხუმი.** სოხუმიდგან თორმეტის ვერსის სიშორეზე სცხოვრებდა სამსახურიდგან გადამდგარი ღრმად მოხუცებული გენერალ-მაიორი, მ. ზავადსკი. თხუთმეტს ამ თთვისას, საღამოს რვა საათზე, ვიღაცანი შევარდნილან ზავადსკის სახლში, მოუკლავთ გენერალი და ორი იმისი მსახური. ამ არეულობის დროს ერთი შინაურთაგანი გამოვარდნილა ფანჯრიდგან, გაქცეულა სოფლისაკენ ხალხის დასაძახებლად, მაგრამ სანამ ვინმე იმ უბედურებას მიუსწრობდა, ავაზაკებმა მკვლელობა კიდევაც ჩაიდინეს და სახლიდგან მრავალი ნივთეულობა წაიღეს; მხოლოდ „სამოვარი"-ღა დასტოვეს. შემდეგ გზას გაუდგნენ და წააწყდნენ ერთს საბრალო მეგრელ ვაჭარს. ამასაც ექვსი ტყვია დაახალეს, მოჰკლეს, ტანთსაცმელი გააძრეს და თავიანთი გზა განაგრძეს. ამბობენ, ავაზაკებმა იმ ღამესვე სოხუმში გამოიარესო. ამ ამბავმა ძალიან შეაძრწუნა მთელი მაზრა; ადგილობრივი ადმინისტრაცია ყოველს ღონისძიებას ჰხმარობს, რომ როგორმე კვალს მიაგნოს და დამნაშავენი აღმოაჩინოს.

**სამეგრელო.** 4 ენკენისთვეს დაბა აბაშაში ბ-ნ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ნება-დართვით იყო გამართული „ლატარია-ალეგრი", ბაბილინა ვახტანგის ასულის ბებურიშვილის თაოსნობით. აქედგან შემოსული ფული იყო დანიშნული ახალსენაკის საქალებო სკოლის სასარგებლოდ.

აბაშაში დაწესებულია, პირველ სექტემბრიდამ შვიდამდის, ბაზრობა, რომელზედაც კარგა ძალი ხალხი დაესწრება ხოლმე. ამ ბაზრობისას გამართეს ლატარია. დარიც კარგი იყო და ხალხიც ბლომად დაესწრო. სასიამოვნოდ ჩაიარა ამ საქველ-მოქმედო საქმემ; არავითარი უწესოება და უკმაყოფილება აქ არ მომხდარა და ხალხიც კმაყოფილი დარჩა. ბილეთები თითქმის სრულიად გაიყიდა. ხარჯ გარდა, წმინდა შემოსავალი, დარჩა **ორას ოც-და-ხამი** მანეთი და თოთხმეტი შაური.

ამ დღისათვის იყო გამოწერილი ფოთიდგან მემუსიკე 15 კაცი, რომელთაც დიდად ასიამოვნეს საზოგადოება. შუადღიდგან საღამოს ცხრა საათამდე ხალხის ცეკვა-თამაში და სიმღერა განუწყვეტელი იყო.

დავასახელებ დიდად პატივცემულ კაცთ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ამ საქმეს და დიდის მადლობის ღირსნიც არიან: კნეინა სალომე მხეიძისა, ეკატერინე მიქელაძისა, კნ. ოლგა მხეიძისა, თავადის ქალი მინა ფხლავასი, ელენე ავალიანისა და სხვა მანდილოსნები.

ჯეროვანი შემწეობა აღმოუჩინა ამ საქმეს რკინის გზის მართველმაც, ბ-ნმა პრესნიაკოვმა, რომელმაც უსასყიდლოდ მოგვიყვანა და გაგვიგზავნა ქ. ფოთს მემუსიკე 15 კაცი.

სასურველია, რომ ჩვენი დიდად პატივცემული მანდილოსნები კვლავაც იკისრებდნენ ამ გვარს საქმეს.

**სურამი.** ძალიან გვიხაროდა, როდესაც დაიწყეს გვირაბის მუშაობა. გვეგონა, დიდს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს მუშა-ხალხს, მაგრამ ზარალს თუ ვხედავთ ჯერ-ჯერობით, თორემ სარგებლობა არსაიდამა სჩანს. ამუშავებენ თვეობით და ფულს-კი არ იძლევიან. წიგნში ჯიბე-ცარიელა და ცუღლუტი იჯარადრები ბუზივით ირევიან. რაკი ერთხელვე ჩაითრევენ მუშებს, მეურმეებს და სხვებს, აღარ აძლევენ ფულსა. ეუბნებიან: ახალები გვაქვს და მოგცემთო. ვინ იცის, აღებული აქვთ, თუ ასაღები! საწყალი მუშები ამ ლოდინში ზოგნი სულ უფულოდ მიდიან.

15 სექტემბერს ერთი სეირი ვნახეთ აქაურებმა და მგონი ამისთანებს ბევრსა ვნახავთ კიდევ. აზნაურს კ—ს ემუშავნა იჯარადარ კ—ვთან. ფული აღარ მიეცა. ატყუა თურმე დღეს-ხვალეობით მთელი ორი თთვე. ვალი სულ 12 მანეთი იყო. ბოლოს უთხრა მუშამ: „რაკი ფულს აღარ მაძლევთ, ბარათი მაინც მიბოძეთო". —მე ბარათს არავის არ ვაძლევ, მოშორდი თავიდამ, შე ასეთო და ისეთოვო—შეუკურთხა იჯარადარმა. მუშას მოუვიდა გული, მივარდა ოთახის კარებთან, სტაცა კოჩორში ხელი, ბევრიცა სცემა და ბარათიც ჩამოართო 12 მანეთისა.

**აფხაზეთი.** აქა-იქ სოფლებში გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელმაც გააწყო მრავალი შინაური პირუტყვი და ახლა ადამიანზედაც გადადის. ერთი კაცი უკვე გარდაიცვალა ამ ავადმყოფობით. მკურნალი იყო მოწვეული სენის გამოსაკვლევად და შემწეობის აღმოსაჩენად. მკურნალი, ბ-ნი შაბლოვსკი, თავის თანაშემწეთი გაემგზავრა ოჩამჩირიდამ აფხაზეთის ერთს სოფელში, სადაც დაჰყო ერთი დღე. ნახა, რომ ავადმყოფს ადამიანს თავზე მუწუკს აყრის და სიცხეს აძლევს. მკურნალმა ურჩია ხალხს, რომ სნეული პირუტყვები მიწაში ჩაფლითო, და ისევ უკანვე დაბრუნდა.

*** როგორც „Новое Время" გვაუწყებს, ის ცნობა, ვითომ სამეცნიერო აკადემია შეუდგა დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის გამოცემას და ვითომ კიდევაც დაბეჭდა იმავე მეცნიერის ახალი ქართული გრამატიკა, მართალი არ არისო. სამეცნიერო აკადემიამ, როგორც თვით ჩუბინაშვილი გვაცნობებს, არ მოინდომა საკუთარის ხარჯით გამოცემა ჩუბინაშვილის ლექსიკონისა და გრამატიკისა, თუმცა ავტორს დიდი სამსახური მიუძღვის აკადემიის წინაშე: ჩუბინაშვილმა გამოსცა ერთი ვრცელი ტომი, რომელშიაც მოაქცია რვა ქართული მატიანე, ქართველ მეფეთა მიწერ-მოწერა რუსეთის ხელმწიფეებთან და სხვა. აკადემიამ არამც თუ არ იკისრა ჩუბინაშვილის წიგნების გამოცემა, არამედ არაფერი არ დაუთმო ავტორს თავის მოგებისაგან. აკადემიას თითო მანეთის შემოსავალზე მიაქვს თავისათვის ოთხი აბაზი.

*** გაზეთი „Новости" გვაუწყებს, რომ იმ კომისიამ, რომელიც კავკასიაში მოქმედებს, იმის შესატყობრად, თუ რამდენი ჰაობიანი ადგილია იქ, გამოიძია, რომელ ადგილებს ეჭირვება რწყვა. იმ ცნობათა გამო, რომელიც კომისიას შეუგროვებია, შეუდგენიათ პროექტი და განზრახვა აქვთ, აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში გაიყვანონ არხი სულ 4,500 ვერსის სიგრძისა.

*** სანათებელ ნივთიერებათა და მოწყობილებათა გამოფენაში, რომელსაც პეტერბურგში გაჰმართავენ, ქ. ბაქოც მიიღებს მონაწილეობას. გაგზავნიან ქალაქის გეგმას და აგრეთვე ნავთის მილებისას, რკინის გზისას, ბაქნებისას და მრავალს ფოტოგრაფიულს სურათებსაც.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დ. სურამი, 19 სექტემბერს.** საზოგადოდ წელს ზემო-ქართლში და განსაკუთრებით სურამს ახლო-მახლო დაბებსა და სოფლებში ცუდის ამინდების გამო ნაგვიანევად დაითესა სიმინდები. ამიტომ მუშა მხვნელ-მთესველი ხალხი დაღონებული, დამძარებული და ხელ-დაკრეფილი შეჰყურებდა თავის უდროვოდ ნათესს სიმინდებსა და ჰფიქრობდა: კაი თუ ზაფხულში სიცხეები და აღმოსავლეთის ქარება დაიწყოს, გვიან ნათესი სიმინდები მოგვიშუშოს და უნაყოფოდ გაგვიხმოსო. მაგრამ იმათი ასეთი ფიქრი გაცრუვდა და უსაფუძვლო გამოდგა: დადგა თუ არა თიბათთვე, დაიჭირა მაშინადვე მშვენიერი გრილი ამინდები. ამ ნაირმა გრილმა და წვიმიანმა დარებმა თითქმის ორი თთვე გასტანეს და ამ ორის თთვის განმავლობაში სიმინდები გაიზარდა, დაუღვაშდა და დატაროვდა. თუმცა აგვისტოს თთვეში მეტად საშინელი სიცხეები და აღმოსავლეთის ქარები დაიწყო—სიმინდებს მაინც მაგოდენად არაფერი დააკლო: სიმინდიც და ლობიოც გვარიანად მოვიდა წელს აქეთკენა. აგვისტოს გვალვამ-კი, უნდა მოგახსენოთ, მართლა საქმე გააჭირვა და შეაწუხა ვენახები. თუ ამ სექტემბრის პირველ რიცხვებში წვიმები არ მოსულიყო, მაშინ სწორედ ხელს აგვაღებინებდა წლევანდელს ღვინის მოსავალზედ წყეული გვალვა. ამ გვალვამ, ცოტა არ იყოს, სცკაფრივეც აზარალა ხალხსა და მეწისქვილეებს ხომ უმეტესად, რასაკვირველია. რადგანაც მიწა ძლიერ გამოგვალა, ამიტომ ანეულების მოხვნა ძალიან გაუძნელდა ხალხსა, ასე რომ ხუთისა და ექვსის უღლის მაგივრად რვა და ცხრა უღელი ხარ-კამბეჩი უნდებოდა გუთნის გაძრევასა და გათრევასა; დიდის და მუდმივის სიცხეების გამო საწისქვილე წყლებიც თითქმის დაშრა და ამიტომ წისქვილები ცოტას ფქვავდა და მეწისქვილეებს ძლიერ ცოტა მინდი შემოსდიოდათ.

მოაგარაკენი, რომლებიც საზაფხულოდ იყვნენ აქ მოსულნი, თან-და-თან მიდიან აქედგან, ასე რომ ნახევარი-ღა დარჩა. ვერ გვისაყვედურებენ, რომ დრო ცუდად გავატარეთო.

უნდა ვსთქვათ, რომ წლევანდელმა ზაფხულმა აჯობა შარშანდელსა. წელს როგორც იყო, თ. ქ. ხერხეულიძის მოთავეობით, ერთი წარმოდგენა გავმართეთ სურამში „წერა-კითხვის საზოგადოების" სასარგებლოდ და ხალხიც საკმაოდ დაესწრო, ასე რომ ხარჯს გარდა შვიდი თუმანი ფული დარჩა, რომელიც ხსენებულის საზოგადოების მდივანს, ბ-ნს ი. ა. მანსვეტოვს, გადავეცით.

სამსონ ლონდაძე

---

18 მაისი

ეს-ეს არის ექიმთან ვიყავ და იქიდგან მოვედი. ექიმს რჩევა ვკითხე—უძილობა მკლავს და აგერ რამდენიმე დღეა, თვალი ვერ მომიხუჭნია-მეთქი. ექიმმა მითხრა, რომ მაჯა ძალიან აჩქარებით გიცემს, თვალის კილოები გაგანიერებული გაქვს, ხოლო საშიში ნიშნები-კი არა გეტყობა-რაო. მირჩია, თავი რაც შეგიძლიან თბილად შეინახე და **კალი-ბრომატი** *) იხმარეო.

25 მაისი

არა მეშველა-რა!.. რაღაცა მემართება, საკვირველი და საოცარი. რაკი საღამო მოახლოვდება, რაღაცა მოუსვენრობასა ვგრძნობ, თითქოს ღამე საშინელი რამ უნდა დამემართოსო. საჩქაროდ ვისადილებ ხოლმე, შემდეგ წიგნს დავუწყებ კითხვას, მაგრამ სიტყვები არ მესმის,—ასოებსაც ძნელად ვარჩევ. მეც ავდგები და წინ და უკან სიარულს დავიწყებ ხოლმე ოთახში და ქვეშსაგებში ჩაწოლისა და დაძინებისა-კი მეშინიან.

საათის ათზედ მივდივარ დასაძინებლად. შევალ თუ არა ხოლმე საწოლ ოთახში, მაშინვე კარებსა ვრაზავ,—მეშინიან... რისა მეშინიან?.. აქამდე არაფრისა არ მეშინოდა... ეხლა-კი უჯრებს გამოვწევ ხოლმე, საწოლ ქვეშ ვიხედები... ყურს ვუგდებ... ვდგევარ გაქვავებული... რადა?.. მეც არ ვიცი... საკვირველია—ასტკივდება რამე ადამიანს, ან სისხლი რიგიანად არ უბრუნავს, ან ძარღვის ანთება დაემართება, ან სისხლი აუვარდება თავში,—ერთის სიტყვით, სულ უბრალო სატკივარი ჩემსავით ჯან-საღსა, მხიარულსა და გამბედავს ადამიანს დაანაღვლიანებს და მშიშარად გადააქცევს ხოლმე! შემდეგ ჩავწვები ხოლმე ქვეშსაგებში და ველი ძილს ისე, როგორც სიკვდილით დასასჯელი ჯალათს ელის! ველი და იმისივე-კი მეშინიან, გული აჩქარებით მიცემს, ფეხები მიკანკალებს და მთელი ტანი მიცახცახებს საბან ქვეშ, იმ დრომდე, ვიდრე თვალები არ მიმერულება, ცნობიერებას არ დავკარგავ. მაშინ-კი აღარა ვგრძნობ აღრინდელებრ ძილის მოახლოვებას, იმ საშინელის ძილისას, რომელიც ჩემ გვერდზეა სადღაც სულ-განაბული, მიდარაჯებს, თავში წამავლებს ხოლმე ხელს, თვალებს მიხუჭავს, ჩემს გაქრობასა და გაცამტვერებასა ცდილობს...

მძინავს, მძინავს დიდხანს, ორი საათი, სამი, შემდეგ მომელანდება ხოლმე სიზმრები,—არა, სიზმრები-კი არა—მაჯლაჯუნა მაწვება. ვგრძნობ, რომ ვწევარ და მძინავს, ვგრძნობ, ვიცი, დარწმუნებული ვარ, ხოლო ვგრძნობ ამასთანავე, რომ ვიღაცა მიახლოვდება, შემომყურებს, ხელს მიცაცუნებს, საწოლზე ამოდის, მუხლებით გულზე მაწვება, კისერზე ხელებსა მხვევს და მიჭერს... მიჭერს რაც ძალი და ღონე შესწევს, უნდა დამარჩოს როგორმე.

ვცდილობ შევებრძოლო, მინდა განვთავისუფლდე, მინდა დავიყვირო—და არ შემიძლიან, შევინძრე—არ შემიძლიან; ჩემს თავს ძალას ვატან, სული მეხუთება; მინდა გადავბრუნდე როგორმე და ძირს გადმოვაგდო ის საშინელი არსება, რომელიც ზედ დამწოლია, კისერში ხელს მიჭერს და მარჩობს—და არ შემიძლიან.. დასასრულ მეღვიძება, ვგრძნობ, რომ დაქანცული ვარ, ოფლში ვცურავ. სანთელს ვანთებ... არავინ არ არის, მარტოდ-მარტო ვარ.

ასეთს ტანჯვა-წამებაში ვარ ყოველ ღამ, შემდეგ მშვიდობიანად ჩამეძინება ხოლმე და მძინავს გათენებამდე.

2 ივნისი

დღე-დღეზე უფრო სულ უარესი მომდის. რა მემართება? ექიმის წამალმა არა მიშველა-რა. ერთხელ მინდოდა სიარულით მოვქანცულვიყავ, თუმცა ისეც მოწყვეტილი და დაქანცული ვარ, და რუმარის ტყეში წაველი სასეირნოდ. ასე მეგონა, რომ წმინდა ჰაერი, მწვანისა და ხეების სურნელოვანება გამომაცოცხლებს და ჯანზედ დამაყენებს-მეთქი. გავიარე დიდს ხევანზედ, გადავუხვიე ვიწრო ბილიკზედ, რომლის აქეთ-იქითაც დიდრონი ხეები იყო ჩამწკრივებული და ამ ხეებს ზემოდგან ჩარდახსავით დაეფარათ დედამიწა. უეცრად ტანში ჟრუანტელმა დამიარა, სიცივის გამო-კი არა, არამედ რაღაც ნაირი შიში ვიგრძენ.

ფეხს ავუჩქარე და თან მეშინოდა, რომ აქ, ამ ტყეში მარტო როგორა ვარ-მეთქი. უეცრად მომეჩვენა, ვითომ ჩემს უკან ვიღაცა ხმაურობდა და ჰოძრაობდა, მომდევდა ახლო, ისე ახლო, რომ თითქმის მეხებოდა კიდეც.

საჩქაროდ გამოვტრიალდი—მარტო ვიყავ. ჩემს უკან დავინახე ვიწრო, მაღალი და უდაბური ხევანი; მეორე მხრივ ამისთანავე ხევანი მიდიოდა, უდაბური, საშინელი...

თვალები დავხუჭე. რადა?.. დავიწყე პროწიალი ცალს ფეხზედ და ვტრიალებდი ჩქარა, ჩქარა, ისე ჩქარა, როგორც ბზრიალა. კინაღამ არ წავიქეცი. როცა თვალები გავახილე, ასე მეგონა, რომ ხეები ტრიალებენ და დედამიწა ფეხქვეშ მეცლება-მეთქი. ისე ამიჭრელდა თვალები და თავს ბრუ დამეხვა, რომ თავი ველარ შევიმაგრე და იქავე ჩავჯექი. შემდეგ... შემდეგ დამავიწყდა საიდგან და როგორ გავჩნდი იქა! საკვირ-

*) კალი-ბრომატი დასამშვიდებელი წამალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წვრილი ამბები

— ჩქარა შესრულებენ თურმე ძეგლს, რომელიც გამბეტტას უნდა დაუდგან. მექანდაკენი ამ ჟამად ძეგლისათვის ზედ-წარწერათ ამზადებენ; ეს ზედ-წარწერანი გამბეტტას მიერ ნათქვამ სიტყვებიდგან იქნება მოყვანილი.

— ბოკალში ამას წინად ერთი მკვლელობა მოხდა. შეუვარდნენ სახლში და ქ-ნი ლევი მოჰკლეს. მკვლელი დაიჭირეს, მაგრამ თავი მოიმუნჯა და ვერა ათქმევინეს-რა. რომ ვერა მოუხერხეს-რა, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ მკვლელი, გვარად ჟილიარი, თავისას არ იშლის და აგერ 25 დღეა ხმას არ იღებს; რასაც ჰკითხავენ, ხელის ნიშნებით აძლევს პასუხსა. ამასთან საშინლად შეიცვალა თურმე სახით: ვერ ისვენებს, სულ უბრალო ხმაურობაზე ძილი უფრთხება, სახე დაეღარა,—ერთის სიტყვით, თითქმის ათის წლით დაბერდა.

— ამ დღეებში ოდესსა, ტფილისსა და ბაქოზედ გაუტარებიათ სპარსეთის შაჰის მიერ შეკვეთილი ვარშავში მშვენიერი ეტლი. შაჰს ეს ეტლი შეუკვეთნია თავის მანისტრის, მოავენულა-მილკას ხელით, რომელიც ამ რამდენისამე თთვის წინად, სპარსეთის მთავრობის მინდობილობით, ევროპაში დამოგზაურობდა. ეს შეკვეთილი ეტლი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ აშკარად ამტკიცებს, თუ რა ჩქარა ვრცელდება სპარსეთში ევროპიული განათლება და ზნენი და ჩვეულებანი. ამ რვა წლის წინად შაჰმა რომ ეტლი შეუკვეთა თავისათვის, პირობად დაუდვა, რომ ცხენების-მმართველის საჯდომი ალაგი შაჰის საჯდომ ალაგზე მაღლა არ იყოს გაკეთებული, რადგან სპარსელთა ჩვეულებით შეუძლებელია, რომ ცხენების-მმართველი მას დიდებულებაზე მაღლა იჯდესო. ეხლა-კი შაჰს ნება დაურთავს, რომ ეტლის კოფო ისევე იყოს გაკეთებული, როგორც ევროპაში აქვთო.

— ამას წინად ერთი საფრანგეთის მეტყევე შემდეგს სურათს დასწრებია ქვემძრომთა ცხოვრებიდგან. ყველამ ვიცით, რომ ჯლარბი დაუძინებელი მტერია მცურავისა, განსაკუთრებით შხამიანას გველისა, ხოლო როგორა ჰკლავს, ეს აქამდე არავინ იცოდა. ამ მეტყევემ თავისი ტყე დაათვალიერა და ამ დათვალიერების დროს შენიშნა თურმე, რომ ერთს შხამიანს გველსა სძინავს მზეზედ. მაშინვე თოფი გადმოიღო მხრიდგან, უნდა ნიშანში აელო მცურავი და აი სწორედ ამ დროს დაინახა თურმე, რომ ჯლარბი ნელ-ნელა ეპარებოდა მძინარე გველსა. თოფს თავი დაანებ; ჩაცუცქდა თურმე ბუჩქს უკან და დაუწყო ყურება, ვნახოთ რა იქნებაო. მიუახლოვდა თუ არა ჯლარბი გველსა, კუდში წაავლო პირი და ზედ შემოიხვია. გველს ტკივილით გამოეღვიძა და დაუწყო ჯლარბს კბენა. ჯლარბი ალაგიდგან არ იძროდა, ისე იყო, თითქო ალაგობრივ გაქვავდაო. გაბრაზებული მცურავი მიწაზედ ათრევდა ჯლარბს, აქედ-იქით აწყდებოდა, წიოდა და სისინებდა. ხუთის წუთის შემდეგ მცურავი ერთიანად დასისხლიანდა და დაიჭრა რამდენსამე ალაგას; მთელი სახე ჭრილობებით სავსე ჰქონდა. სისხლისაგან რომ დაიცალა, დაეცა მოქანცული და მოკვდა. ჯლარბი რომ დარწმუნდა, მცურავი მოკვდაო, წყნარად გაიშალა და დაუწყო თურმე ჭამა.

— ბერლინის ქალაქის გამგეობას ამას წინად ოცი ქალი დაუნიშნავს ბაზრის ზედამხედველებად. ამ ქალებმა უნდა ადევნონ თვალ-ყური ყასბებსა და სხვა მოვაჭრეთა წესიერს ვაჭრობასა და რიგიან საქონლის ყიდვაზე.

—სექტემბრის თთვის განმავლობაში პარიჟში 1888 წლისთვის 16 კალენდარი უნდა გამოვიდეს; თითო კალენდრის ფასი ერთის აბაზიდგან ორ აბაზამდე იქნება.

— ინგლისში, მიტტერტონის მკიდრთ ჩვეულებადა აქვთ თურმე სახლში დედოფალას შენახვა. ამას წინად ერთის სბორნელის მუშა-კაცის სახლში დედოფალა აპარულა ოთხის თთვის ყმაწვილის აკვანზე, ცალი თვალი ამოუგლეჯნია და ლოყა მოუჭამია. ყმაწვილი გარდაცვლილა.

— ციურიხის მთავრობას ნება დაურთავს, რომ ვისაც უნდა, შეუძლიანთ თავიანთის ცხედრის გვამი დასწვან დამარხვის მაგიერო.

— ჩინეთის მთავრობას გაუგზავნია ევროპაში ოცი კაცი ევროპის ყოფა-ცხოვრების შესასწავლელად.

— იაპონიის მთავრობას გადაუწყვეტია, რომ ყველა აფიცრებმა ევროპიულადვე უნდა ჩაიცვან და დაიხურონ

— ავსტრიის იმპერატორს უბოძებია პასტერისათვის რკინის გვირგვინის ორდენი. ამ ორდენის პატრონს ნება აქვს, რომ ბარონობა მიითვისოს.

— ერთის ოსმალეთის გაზეთის რედაქტორს, ვაზიმ-ბეის, დრამა დაუწერია და უთხოვნია ხონთქარისათვის, ნება მომეცით, რომ ჩემი დრამა წავიკითხოო. ხონთქარს მოუსმენია ყურადღებით დრამა „აბდულ-ფარი“ და უთქვამს: ამ ახლო ხანებში ჩემს სასახლეში წარმოვადგენინებ და მთელის ჩემის ოჯახობით დავესწრობიო.

— ინგლისში მომკვდარა გამოჩენილი დოღის ცხენი, რომელშიაც იმის პატრონს სულ რამდენისამე დღის წინად 30,000 მან. აძლევდნენ თურმე.

— ექიმი შვენინგერი, რომელმაც ბისმარკი მოარჩინა და ამით სახელი გაითქვა, ხონთქარს მიუწვევია ახლა და უთხოვნია: ჩემს ჰარამხანაში ერთი ქალი მეტად ხორციანია და მოარჩინე სისუქნისაგანო.

— მივაქცევთ დასანიშნავ ყმაწვილ-კაცთა ყურადღებას, რომელნიც ქრთამიან საცოლეს ეძებენ! ყველაზედ მდიდარი საპატარძლო მთელს ჩრდილოეთ ამერიკაში არის თურმე მისს ნელი გულდი, ჟეა გულდის ქალი. მამის სიკვდილს შემდეგ ეს ქალი სამკვიდროდ მიიღებს თურმე 75.000,000 მანათსა.

— რას არ მოიგონებენ ამერიკელები! მაგალითებრ, ამას წინად ერთს ამერიკელს მოუგონია ისეთი საშუალება, რომლის მალითაც შეიძლება თურმე ახლო-მახლო მინდვრებსა და ტყეებიდგან ქალაქში წმინდა ჰაერი გაიყვანონ. წმინდა და გრილის ჰაერის მსურველთ ზაფხულში შეუძლიანთ ქალაქშივე დარჩნენ, აგარაკად არ გავიდნენ, ხოლო უნდა ჰაერის გამყვან-საზოგადოებას ფული გადაუხადონ და გამოუყვანენ თავისსავე სახლში თუნდა ზღვის ჰაერს და თუნდ ტყისასა.

— ამას წინად პარიჟში პრანცინი დასაჯეს სიკვდილით კაცის-მკვლელობისათვის. ამ პრანცინის სახელი გაზეთების ფურცლებს არა შორდება და თითქმის ყოველ დღეა დაბეჭდილი რომელსამე გაზეთში პრანცინზედ რაიმე ამბავი. ეხლაც გაზეთების სიტყვით, საანატომიო კაბინეთიდგან მოუპარავთ პრანცინის კანი და ერთის იშვიათ ნივთეულობის მოყვარესათვის მიუყიდნიათ. ამ ახირებულს კაცს პრანცინის კანისა ქისა გაუკეთებინებია და შიგ ჯიბეში სატარებელ ფულს ინახავს თურმე. პარიჟის ერთს ბანკის მმართველს პრანცინის კბილებისა საათის მეწკვი გაუკეთებინებია და გულზედ ატარებს თურმე. ზოგიერთები კიდევ პრანცინის კანისას ხელთათმანებს აკეთებენო. თქმა არ უნდა, რომ ამისთანა ბარბაროსობით საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთები აღელვებულნი არიან და ჰგოდებენ.

## გასართობი

გერმანელის სიძუნწე და ხელ-მოჭერილობა ყველას გაეგონება, მაგრამ ვინ მოიფიქრებდა, რომ ასეთივე ძუნწი და ხელ-მოჭერილი იქმნებოდა თვით მემკვიდრე პრინცი, რომელიც რამდენისამე წლის შემდეგ გერმანიის იმპერატორი უნდა გახდეს. ნამდვილად-კი ასე ყოფილა. ინგლისის გაზეთები შემდეგს ამბავს მოგვითხრობენ: ამას წინად, როცა პრინცი ინგლისში იმყოფებოდა, ლორდვუდში სცხოვრობდა. 5 კვირის შემდეგ პრინცი დაბრუნდა სამშობლოში და სახლის პატრონს ქალს საჩუქრად საყურეები გამოუგზავნა. ამ საყურეებს თალლითი ბრილიანტის ქვები უსხდა. სახლის პატრონის ქმარმა უკან დაუბრუნა ეს საჩუქარი პრინცს და შეუთვალა: მე ნებას არ მივსცემ ჩემს ცოლს ტყუილი ბრილიანტის საყურეები ატაროსო. პრინცმა წაიკითხა დამშვიდებით ეს ბარათი და სთქვა, ვითომც აქ არაფერიაო: გერმანიის მემკვიდრე პრინცები ამაზე ძვირფასს საჩუქარს ვერავის ვერ მიართმევენო.

**

ერთს ინგლისელს უნდოდა პარიჟში მოევლო. შეხვდა კარგად ჩაცმულს პარიჟელს ყმაწვილ-კაცს და სთხოვა, დამატარე პარიჟიო. ყმაწვილი-კაცი დასთანხმდა და დაიწყეს ერთად სიარული. ბოლოს ინგლისელმა შეიყვანა ყმაწვილი-კაცი რესტორანში და გაუმასპინძლდა. როცა ერთმანერთს მოშორდნენ, ინგლისელმა იტაცა ხელი ჯიბეზედ და ფული ვეღარ იპოვნა. დაიწყო ყვირილი: მიშველეთ, ფული ამომაცალესო. პოლიცია დაფაცურდა და იპოვეს ყმაწვილი-კაცი. ყმაწვილი-კაცი კიდევ იმ ინგლისელს დაეძებდა პოლიციის შემწეობითვე, რადგან ინგლისელსაც იმ პარიჟელისათვის ქისა ამოეცლია ჯიბიდამ. აი ამასა ჰქვიან, შეჰხვდნენ ერთმანერთს საკბილოები, ანუ, მოვიდა სეტყვა და დაჰხვდა ქვაო!

**

ზემო-ვენგრიაში ერთს მივარდნილს კუთხეში მივიდა რევიზორად მინისტრი იუსტიციისა და შევიდა სასამართლოში საქმეების დასათვალიერებლად. სასამართლოში არავინ დაჰხვდა, ერთის გადამწერის მეტი, რომელიც ძალიან უგულოდ დაუხვდა უცნობსა.

— თქვენ ვინა გნებავთო? ჰკითხა გადამწერმა.

— მოსამართლეს ნახვა მინდაო, უპასუხა მინისტრმა.

— მოსამართლე აქ არ გახლავთ.

— მაშ სად არის, ჯერ ხომ დრო არ გადასულა სამსახურისა?

— მერე, ეგ რა თქვენი საქმეა?

— ცოტაოდენი საქმე მაქვს იმასთან.

— ცოტაოდენი საქმე?.. მერე თქვენ ვინა ბძანდებით?

— მე მინისტრი ვარ იუსტიციისა. გადამწერი პირ-დაღებული დარჩა და თვალებ-დაჭყეტილი შესცქეროდა მინისტრსა.

**

რიგაში ერთი კარგად ჩაცმული კაცი, ფრაკში გამოპრანჭული, ცილინდრიანი და დადიოდა ქუჩა-ქუჩა, იჭერდა ბუზებს და პირში მიაქანებდა გადასაყლაპავად. მე დავინახე ეს ამბავიო, სწერს გაზ. „ბალტიას“ კორრესპონდენტი, და გამეცინაო. უცნობმა ბუზიყლაპიამ იწყინა ესა, მომიბრუნდა და მითხრა: ვის რა რჯის, რომ მე ბუზები ვჭამოვო, ესეც ხომ აკრძალული არ არისო!?

**

ერთს პარიჟის კაფე-რესტორანში შევიდა თურმე პატარ-პატარა სამხიარულო და სალიზღობელის შაირებისა და ლექსების მთქმელი. კაფე-რესტორანში ვიღაც არტისტები მღეროდნენ ხალხის გასართობად სწორედ ამ მოშაირეს ლექსებსა. რამდენი ლექსიც იმღერეს, იმდენი ჭიქა ღვინო მოითხოვა ავტორმა. ბოლოს, როცა ფულის მიცემის დრო მოვიდა, ბიჭს უთხრა, დამიძახე შენს ბატონსაო. რესტორანის პატრონი მოვიდა. ავტორმა უთხრა, რომ მე ვარ მთქმელი იმ ლექსებისა, რომელსაც აქა მღერიან შენი არტისტებიო. ძალიან კარგი და პატიოსანიო, უპასუხა რესტორანის პატრონმა. —ჩემთვის დიდად სასიამოვნოა ეგ ამბავიო, მაგრამ რა გნებავთ განაო.

— მე ფულს არ გადავიხდი ღვინოში, შენის ღვინის ფასად ის ჩასთვალე, რაც მე ლექსების ავტორობისათვის მერგება შენგანაო, სთქვა ავტორმა.

რესტორანის პატრონი ამაზე გაწყრა და პოლიციას შეატყობინა. პოლიციამ მოისმინა ავტორის საბუთები: აქ ჩემს ლექსებს მღერიან, ხალხი მოდის ლექსების მოსასმენად რესტორანში და მის პატრონს ჯეირს აძლევენ და განა ჩემი ლექსები მუქთიაო?

პოლიციამ გარდასცა საქმე სასამართლოს, საცა ავტორმა გაიმარჯვა და საავტორო გადაახდევინა რესტორანის პატრონს.

**

დეპეშათა ერთს სადგურზე მსახურებდა ერთი ახალგაზდა ყმაწვილი, სახელად, გარრი, ხოლო მეორე სადგურზე ტელეგრაფისტის თანამდებობას ასრულებდა ახალგაზდა-ქალი—ელა ფილიპსონი. თავისუფალს დროს იმას ანდომებდნენ ორივენი, რომ ერთი-ერთმანერთს ელაპარაკებოდნენ დეპეშის საშუალებით, ერთი-ერთმანერთს უამბობდნენ ახალ-ახალ ამბებს. ასე და ამ გვარად ერთი-ერთმანერთი გაიცნეს, ერთი-ერთმანერთის ჩვეულება და ხასიათი გაიგეს. საქმე იმით დასრულდა, რომ გარრიმ შეუთვალა ელას, ჩემი სული და გული შენ შეგიპყრიაო და ამისათვის მსურს შენზე ჯვარი დავიწეროვო. გარრი და ელა შეიყარნენ ერთს სხვა სადგურზე და კიდევაც დაქორწილდნენ.

---

ველია, საოცარი! საოცარია, საოცარი!.. აღარა მახსოვდა-რა. მარჯვნივ გაუხვიე და დიდს ხეივანზედ გაველი; დაევადექი ამ ხეივანს, ვიარე და ტყის შუა-გულში შევედი.

3 ივნისი

საშინელი ღამე გავატარე... წავალ სადმე რამდენისამე კვირით. მგზავრობა უეჭველია ღონეზედ დამაყენებს და ჯანზედ მომიყვანს.

2 ივლისი

ჯან-საღი და ჯან-მრთელი დავბრუნდი. მშვენივრად ვიმოგზაურე: ავედი სენ-მიშელის მთაზედ, რომელიც აქამდე არ მენახა. რა მშვენიერი სურათი ეშლება თვალ-წინ ადამიანს, ავრანშაში რომ მივა. ეს ქალაქი გორაკაზედ მდებარეობს. წამიყვანეს საზოგადო ბაღში, რომელიც ქალაქის განაპირას არის გაშენებული. ბაღი რომ დავინახე, ალტაცებით შევყვირე. ჩემს თვალ-წინ ბიბინებდა უშველებელი ზღვის ტოტი, რომლის მეორე ნაპირი არა სჩანდა და შორს, შორს, ცის-კიდურს უერთდებოდა. და აი, ამ უშველებელის ზღვის შუა ამაღლებულიყო საკვირველი, წვეტიანი და ნაღვლიანი კლდე. მზე ის იყო ჩავიდა და ეს საუცხოვო სურათი გაწითლებულს ცის-კიდურზე იხატებოდა.

მეორე დღეს, გარიჟრაჟდა თუ არა, კლდეზედ დავიწყე ასვლა. ზღვა დამჯდარი იყო, როგორც წინა საღამოს, და რამდენიც მაღლა ავდიოდი, იმდენი უფრო ჩნდებოდა საკვირველი მონასტერი. რამდენისამე საათის სიარულის შემდეგ, ავაღწიე ერთ დიდ კლდის გამოშვერილამდე, რომელზედაც გაშენებული იყო პატარა ქალაქი და დიდი ეკკლესია. გავიარე ვიწრო და მოკლე ქუჩა და შევედი ძველებურს ეკკლესიაში, რომელიც ყველაზედ დიდი სამყოფი უნდა ყოფილიყო ღვთისა ამ ქვეყნად. მონასტერი მეტად დიდი იყო, სავსე დიდ-ძალის დაბალის დარბაზებით, რომელნიც პატარა სვეტებს ეპირათ. შევედი ამ უშველებელს ხაქსით აშენებულს მონასტერში, რომელიც გუმბათებითა და სამრეკლოებით სავსე იყო; სამრეკლოების თავზე დახატული იყო ეშმაკები, ყვავილები და ისეთი მხეცები, რომელთ მგზავსი ადამიანის თვალს არც უნახავს და არც არსებობს ამ ქვეყნად. როცა სულ მაღლა ავედით, მივუბრუნდი ბერსა, რომელიც თან დამდევდა და მონასტერს მათვალიერებინებდა, და ვუთხარ:

— რა კარგად და სასიამოვნოდ უნდა ცხოვრობდეთ აქა, მამაო!

— აქ მეტად ძლიერი და საშინელი ქარები იცის ხოლმე, ჩემო ბატონო,—მიპასუხა ბერმა. დავიწყეთ ბაასი და თან დავყურებდით ზღვას, რომელიც მატულობდა, ტალღას კლდესა სცემდა და ქვიშას აყრიდა.

ბერმა დაიწყო და მიამბო ერთი მეორეზედ სხვა-და-სხვა ძველებური ლეგენდები.

ერთმა ლეგენდამ საშინლად გამაოცა.—ადგილობრივნი მკვიდრნი დაბეჯითებით ამტკიცებენ თურმე, რომ ღამღამობით რიყეზედ, ზღვის ნაპირად, ისმის რაღაცა ხმა და მერე ორი თხა მოჰყვება ხოლმე ბღავილსა: ერთი თხა მაღალის ხმითა ბღავის, მეორე—დაბალის ხმითაო. ურწმუნონი ამბობენ, რომ ეგ ხმა ზღვის ფრინველების ხმაა, რომელიც ხან თხის ბღავილს მიემგზავსება და ხან ადამიანის კვნესასაო. მეთევზეები-კი ჰფიცავენ, რომ რამდენჯერმე, როცა გვიან დავბრუნებულვართ, გვინახავს გზაზედ ერთი მოხუცებული მეთევზე, რომელსაც თავ-პირი ყოველთვის შებურვილი აქვს ხოლმე; აი ამ მეთევზეს თან დაჰყავს ორი თხა—ერთს თხას ვაჟკაცის სახე აქვს და მეორეს—ქალისა; ორივეს თეთრი გრძელი თმები აქვთ და რაღაცა გაუგებარს ენაზედ ელაპარაკებიან ერთმანერთს. ხშირად ბაასსა და ჩხუბს თავს ანებებენ და მოჰყვებიან ხოლმე ბღავილსაო.

— თქვენა გჯერათ, ვითომ მართალი იყოს?—ვკითხე ბერსა.

— არ ვიციო,—ჩაიჩურჩულა.

— ეგ რომ მართალი იყოს და ჩვენ გარდა ამ ქვეყნად სხვა არსებანიც იმყოფებოდნენ,—დავუწყე კვლავ ბაასი—აქამდე როგორ არ გვეცოდინებოდა, როგორ ვერ შევიტყობდით? როგორ შეიძლებოდა, რომ ან თქვენ არ გენახათ, ან მე?

ამაზედ აი რა მიპასუხა ბერმა:

— განა ჩვენ მეასი-ათასს ნაწილსა ვხედავთ იმისას, რაც არსებობს? აიღეთ თუნდა ქარი, ეს უდიდესი ძალა ბუნებისა,—რომელიც ადამიანს ძირს დასცემს ხოლმე, შენობებს ანგრევს, ხეებს ფესვიანადა ჰგლეჯს დედამიწიდგან, ზღვას აღელვებს და ტალღის გორებს აყენებს, ციცაბო კლდის წვერებს ამტვრევს და პუმბულივით ისვრის გემებს,—ერთის სიტყვით, ქარი, რომელიც ადამიანსა ჰკლავს, უსტვენს, ჰკვნესის, ჰღრიალებს,—გინახავთ როდისმე, ან შეგიძლიანთ ჰნახოთ? არ გინახავთ, ვერც ჰნახავთ და არსებობს-კი.

მე გავჩუმდი, ველარა ვსთქვი-რა ამ უბრალო საბუთის წინაშე. ეს ბერი ან ბრძენი უნდა ყოფილიყო, ან მტკნარი სულელი. არ ვიცოდი, რომელი იყო და ამიტომ გავჩუმდი.

ბერის მიერ ნათქვამი სიტყვები მეც ბევრჯელ მომსვლია აზრად და დავუფიქრებივარ.

ორ-ანი

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

19 სექტემბერი

**პეტერბურგი.** მეცნიერებათა აკადემიამ ჯილდოს ღირსად იცნა კავკასიის მუზეის გამგებელი, ბ-ნი რადდე, მაგრამ რადგან ჯილდო არ იყო დანიშნული, საპატიო ქება უძღვნა იმ თხზულებისათვის, რომელსაც ეწოდება „ორნითოლოგიური ფაუნა კავკასიისა".

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს პროექტი მეტყევეთათვის სკოლის დაარსებისა.

როგორც ხმა ისმის, შინაგან საქმეთა სამინისტრო იმ წესების განხილვაშია, რა წესითაც შეიძლება მიიღოს უცხო ქვეყნელმა, უფრო გერმანელმა ქვეშევრდომობა რუსეთისა. განზრახვა აქვთ გადასწყვიტონ, რომ იმათი შვილებიც, ვინც რუსეთის ქვეშევრდომობას მიიღებს რუსეთის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ.

განზრახვა აქვთ, რომ ბაქო იდონ გართოფილის სანთელზე, ფუთზე თითო მანათი.

**სოფია.** მთავრობის დასი და მოწინააღმდეგენი მთავრობისა უკვე ასახელებენ თავ-თავიანთ კანდიდატებს მცირე საერო კრებისათვის. ყველა მინისტრები თანხმანი არიან გამოაცხადონ თავიანთი კანდიდატობა. რადოსლავოვი და სტამბულოვი ერთსა და იმავე საარჩევნო მაზრაში გამოდიან კანდიდატებადა.

20 სექტემბერი

**პეტერბურგი.** „Новое Время" გვაუწყებს, რომ განზრახვა აქვთ შეძლებისადა გვარი ხარჯი იქმნას შემოღებული; ამას გარდა განზრახვა აქვთ ხარჯი დააწესონ იმათთვის, ვინც ჯარის-კაცად არის გასასვლელი, მაგრამ წილის ყრის შემდეგ არ წაუყვანიათ ჯარში იმ წლის ჯარის-კაცთა რიცხვის შესავსებად.

„Новости" გვაცნობებს, რომ მურომ-ყაზანის რკინის გზა რიგით პირველად უნდა გაკეთდეს 1888 წელსაო.

**რომი.** მინისტრ-პრეზიდენტი კრისპი ფრიდრიხსრუეს წავიდა თავად ბისმარკის სანახავად. ოფიციალური გაზეთი „Riforma" ამბობს: ამ ნახვას აზრად ის ექმნება, რომ მშვიდობიანობა იქმნას დაცული ევროპაშიო.

**პარიჟი.** საფრანგეთის უფროსმა ექიმმა ფილიპოპოლში ნება მიიღო, რომ უვადოდ დაეთხოვოს სამსახურს.

**სტამბოლი.** აქა ფიქრობენ, რომ რუსეთი ჯერ კიდევ მალე ვერ მისცემს პასუხს ოსმალეთს იმ წინადადებაზე ბოლგარიის საქმის გამო, რომელიც მან რუსეთს გაუგზავნა. ამის მიზეზი ის არის, რომ რუსეთი უცდის ისეთს მოსალოდნელს ამბავსა, რომელიც შესცვლის ბოლგარიის დღევანდელს მდგომარეობასაო.

21 სექტემბერი

**პეტერბურგი.** დღეს დილით ვარშავის რკინის გზით მოასვენეს გვამი გენერალ-მაიორის შეპელიოვისა. კუბოს გარშემო გვირგვინები ეწყვა. პატივის-ცემის ნიშნად სადგურზე იდგა ბატალიონი ჯარის-კაცთა. დასაფლავებაზე დაესწრო გენერლობა. ცხედარი დაასაფლავეს „Ново-Дѣвичье"-ს მონასტერში.

**ბერლინი.** ფრიდრიხსრუეში, საცა განცლერი ბისმარკი და კრისპი ბჭობენ და თათბირობენ, მივიდა აგრეთვე შვილი კანცლერისა, სტატს-სეკრეტარი ბისმარკი, ერთი სადიპლომატო მოხელე და აქაური ელჩი იტალიისა.

**პეტერბურგის ბირჟა, 15-ს სექტემბერს**

**ფ ა ს ე ბ ი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ნუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 22 |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 178³/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — » | — » | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — » | — » | 274 |
| — მეორისა | — » | — » | 252 |
| გირავნობ. ფურცლნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — » | 99¹/₄ | — » |
| ქუთაისის ბანკისა | — » | 99¹/₂ | — » |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 83³/₄ | — » | — » |

**საკალენდარო ცნობანი**

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—ჩყპ—479 წლის. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ—43 წელიწადი. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

სექტემბერი 30 დღით არის.

22 დღე ხამშაბათი. მოწ. ფოკასი. წინ.-მეტყ. იონასი. კათოლ. ევ. ალმ. ფილანდიელი თომასი. სომეხ. წმ. ქალწულ. ოებრონიასი და მარინესი. წმ. დიდის გარდანის ქალისა, წმ. მოწ. შუშანიკისა, რომელიც განისვენებს მეტეხის ციხეში, ტფილისს. მუსულ. მე-17 რიცხვი თვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ქეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 6—1, ჩადის 5—34. მთვარე 18 დღისაა.

**გამოსადეგი ცნობანი**

**ნიხრი**

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | » |
| » 2 » | 2¹/₂ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3¹/₂ | » |
| » » 3 » | 3 | |
| ქვაბის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | 4 | » |
| მე-3 — | » | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი | 13 | » |
| ცხვრის ხორცი | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ი | ლ | ი თ | | დ | ი | ლ | ი თ |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი. . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია**. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა**. . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი**. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი. | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა | ღ ა | მ ო | თ ი |
| | ს ა | ღ ა | მ ო | თ ი | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი. | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია**. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ღ ი | ს ი | თ | | ღ | ა | მ ი | თ |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა | ღ ა | მ ო | თ ი | | დ | ი | ლ ი | თ |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |

## კერძო განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის ათ საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე, მიიღება შეწირულობა ქ. ვერნის (სემირეჩენსკის ოლქაში) მკვიდრთა სასარგებლოდ, რომელნიც დაზიანდნენ მიწის-ძვრისაგან. (3—1)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თეით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

**ორი მოთხრობა**

ს. მგალობლიშვილისა

I მეცრევაზე

II დიდ ზალაში

ფასი ორი შაური.

ქართული სამრთო წიგნთ-საკითხავი, რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩაზე, იარმუკის ბოლოში, მე-14 №-ში, ღიაა ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ 9 საათამდე. წიგნთ-საკითხავში შესვლა და წიგნების იქვე კითხვა, თუ გარედ წაღება, შეუძლიან ყველა წოდების კაცს. წიგნის კითხვისათვის არავის არაფითარი ფასი არ გამოერთმევა.

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეე-ქვსისა | 3 | » |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუე, საბა-სულხან ორბელიანისა | » | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა | 1 | » |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა | 1 | » |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა | » | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | » | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | » | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა | » | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა | » | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. | » | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა | » | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. | » | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | » | 1 |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | » | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. | » | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | » | 25 |
| განკიცხული, მოხხუბარიძისა | » | 50 |
| ციკო, მისივე. | » | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა | » | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა | » | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. | » | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე | » | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. | » | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. | » | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. | » | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. | » | 1 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. | » | 15 |
| ზაფხული, ჯულელის რედაქციით. | » | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა | » | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯულელისა | » | 5 |
| არსენას ლექსი | » | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. | » | 15 |
| ქართული ანდაზები. | » | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა | » | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა | » | 5 |
| ალი, ნ. ლომაურისა | » | 30 |
| დრო არის საქმეს შევუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. | » | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა | » | 40 |
| სტეფენსონი, ზარზარე თუმანიშვილისა | » | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა | 1 | » |
| თხზულებანი, მისავე ნაწ. I. | » | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა | » | 30 |

ახლად შექმნილია და ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул., домъ Сараджева) შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა | „ | 30 |
| ბუნების კარი, მისავე | „ | 75 |
| კოკორი, მისივე | „ | 10 |
| კონა, მისივე | „ | 50 |
| ხომლი, მისივე | „ | 30 |
| კუნწულა, მისივე | „ | 40 |
| დედანი, მისავე | „ | 30 |
| შალვას თავ-გარდასავალი, გ. დ. ცისქლისა. | „ | 20 |


Дов. цен. Тиф. 21 сентября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) на Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.